ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5-019165-2012
4 7 201 წ.

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს
დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავჯდომარეს
თავჯდომარეს
ბატონ გიორგი შონვაძეს

ბატონო გიორგი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი 2012 წლის 5 ივნისის №186 მომართვის საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის №021633-2012/03/1 დასკვნას.

დანართი: დასკვნა - 5 ფურცელზე.

პატივისცემით,

გიორგი ხიზანიშვილი

ბიუროს უფროსი

1124
06 07 12

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

(995 32) 258 484
(995 32) 290 524
info@forensics.ge
(995 31) 13003
info@forensics.ge
(995 888222) 79430
info@forensics.ge

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა

ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

საინჟინრო ექსპერტიზის სამმართველოს

ექსპერტი უჩა ხაჩიური ----------

საინჟინრო ექსპერტიზის სამმართველოს

ექსპერტი გიორგი ბედოშვილი ----------

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

2012 წლის 05 ივნისს, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს (სააგენტოს თავჯდომარე გიორგი შონვაძე) 05 ივნისის №186 მომართვით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დანიშნულია საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა. მომართვასთან ერთად მიღებულია :

დანართი: ხელშეკრულების ასლი
წინასწარი ხარჯთაღრიცხვა
სამუშაოების შესრულების აქტი (ფორმა №2)

ექსპერტის წინაშე დასმული საკითხი

გთხოვთ, განახორციელოთ „პრომეთეს მღვიმე"-ში შესრულებული სამუშაოების (დეკორატიული განათებისა და აკუსტიკური სისტემის სამონტაჟო სამუშაოები) ექსპერტიზა.

ექსპერტიზის ჩატარება დაგვევალა სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის (დეპარტამენტი) საინჟინრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტს უჩა ხაჩიურს, ინჟინერ-ენერგეტიკოსს უმაღლესი ტექნიკური განათლებით და საერთო მუშაობის 5 წლისა და ექსპერტად მუშაობის 2 წლამდე სტაჟის მქონეს, გიორგი ბედოშვილს ინჟინერ-ენერგეტიკოსს უმაღლესი განათლებით სპეციალობით მუშაობის 5 წლისა და ექსპერტად მუშაობის 1 წლამდე სტაჟის მქონეს.

ექსპერტის დასკვნა №021633-2012/03/1

შემოსვლის თარიღი: 05.06.2012წ. გასვლის თარიღი: 04.07.2012წ.

შპს „გესკო"-ს მიერ „პრომეთეს მღვიმის" დეკორატიული განათებისა და აკუსტიკური სისტემის მოწყობაზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს ნაცვლად ფორმა №2–ში ნაჩვენები 336986.31 ლარისა დღგ-ს ჩათვლით, 309757.04 ლარს დღგ-ს ჩათვლით. სხვაობა ნაკლებობით შეადგენს 27229.27 ლარს. (იხ. კორექტირებული ფორმა №2).

ექსპერტი უჩა ხაჩიური ----------

ექსპერტი გიორგი ბედოშვილი ----------

გამოკვლევა

ექსპერტიზის წინაშე დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის მიზნით ექსპერტთა მიერ დათვალიერებული და შემოწმებული იქნა „პრომეთეს მღვიმე"-ში დეკორატიული განათებისა და აკუსტიკური სისტემის მოწყობაზე შესრულებული სამუშაოები.

ზემოაღნიშნულ ობიექტზე ჩატარებული ხილული სამუშაოების დათვალიერება-შემოწმებით მიღებული მონაცემები შედარებულ იქნა ექსპერტიზაზე წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოთა აქტებთან (ფორმა №2), ასევე ფორმა №2-ში ნაჩვენები შრომითი დანახარჯები, შედარდა ხარჯთაღრიცხვასა და დღეის მდგომარეობით შრომის ბაზარზე არსებული მსგავსი შრომის ანაზღაურების ერთეულ ღირებულებებს, ხოლო ფარული სამუშაოები გაზიარებული იქნა წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტების შესაბამისად.

ანგარიშფაქტურები ვერ იქნა წარმოდგენილი ექსპერტიზის მსვლელობის პროცესში, შესაბამისად ფორმა №2-ში ნაჩვენები მასალების ერთეული ღირებულება, შედარდა ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ხარჯთარიცხვაში ნაჩვენებ მასალათა ერთეულ ღირებულებებს. ჩვენს მიერ მასალების ფასის გაკორექტირება შესაძლებელია ანგარიშ-ფაქტურების სრულად წარმოდგენის შემთხვევაში.

ფორმა№2-ში DMX სადენის დაჯეკვაზე გაზრდილია სამუშაოს მოცულობა ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით, ვინაიდან აღნიშნულ სამუშაოზე ვერ იქნა წარმოდგენილი შეთანხმების ან ფარული სამუშაოს აქტი ჩვენს მიერ გაზიარებული იქნა აღნიშნული სამუშაოს მხოლოდ ის მოცულობა რომელსაც ითვალისწინებს ხარჯთაღრიცხა, ხოლო მეტობით გაკეთებული სამუშაოს მოცულობის ჩათვლა არჩათვლის საკითხი დამკვეთის პრეროგატივაა.

ექსპერტთა მიერ გაკორექტირებული იქნა დარიცხვები.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე დადგინდა, რომ:

შპს „გესკო"-ს მიერ „პრომეთეს მღვიმის" დეკორატიული განათებისა და აკუსტიკური სისტემის მოწყობაზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს ნაცვლად ფორმა №2–ში ნაჩვენები 336986.31 ლარისა დღგ-ს ჩათვლით, 309757.04 ლარს დღგ-ს ჩათვლით. სხვაობა ნაკლებობით შეადგენს 27229.27 ლარს. (იხ. კორექტირებული ფორმა №2).

კვლევაში გამოყენებული საქმის მასალები

- შესრულებული სამუშაოთა აქტები (ფორმა №2) ;
- ხარჯთაღრიცხვა;
- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №14;
- პრომეთეს მღვიმის განათებისა და აკუსტიკური სისტემის საშემსრულებლო ნახაზი (პროექტი).
- ფარული სამუშაოების აქტი.

ექსპერტი უ. ხაჩიური ----------

ექსპერტი გ. ბედოშვილი ----------

დამკვეთი: სსიპ "დაცული ტერიტორიების სააგენტო"
შემსრულებელი: შპს "ბესკო"
№14/27-02-2012 ხელშეკრულების მიხედვით

ფორმა № 2

პროგეთების

მდვიმეში განათების - აკუსტიკის სისტემების მოწყობის შესრულების აქტი

№	სამუშაოებისა და ხარჯების დასახელება	განზომ. ერთეული	რაოდ.	ერთეულის ფასი		ღირებულება	
				მასალა	ხელფასი	მასალა	ხელფასი
1	სანათის მონტაჟი/ადრესაცია/კერმეტიზაცია სითხით	ცალი	427	0.00	25.00	0.00	10,675.00
2	მართვის კუოტების მონტაჟი/ აწყობა/კერმეტულ ყუთებში ინსტალაცია, კერმეტიზაცია სითხით	ცალი	32	0.00	50.00	0.00	1,600.00
3	წყლისძგერა სანათებისთვის პროგრამატორის მონტაჟი/დაპროგრამირება/პროგრამის შემოწმება/პროგრამის დაწერა/ ნატვირთვა/გაშვება	ცალი	1	0.00	2,200.00	0.00	2,200.00
4	DMX სადენის დაჯაჭვა	ცალი	650	0.00	3.00	0.00	1,950.00
5	DMX სადენის მონტაჟი-შეფუთვა-შენიღბვა	მეტრი	5937	0.00	2.00	0.00	11,874.00
6	მკვიცავი სადენის მონტაჟი-შეფუთვა-შენიღბვა	მეტრი	2500	0.00	1.60	0.00	4,000.00
7	გამანაწილებელი კოლოფების მონტაჟი/IP-ის გაზრდა 68-მდე კერმეტიზაციის სითხის ნასხმით/შეფუთვა-შენიღბვა	ცალი	445	0.00	9.00	0.00	4,005.00
8	ავტ.ამოძრთველის/დიფ.რელეს მონტაჟი/კონტაქტორის/გამრთველისმონტაჟი	ცალი	9	0.00	25.00	0.00	225.00
9	სანათებზე "შტორკების"-ს ჩამოცმა/დამაგრება	ცალი	145	0.00	10.00	0.00	1,450.00
10	მდვიმის ძველ არსებულ სანათებისთვის თერმოგამძლე ფილტრების გამოგრა, დამაგრება კერმეტულად წყალგამძლე წებო-სილიკონის მეშვეობით	ცალი	70	0.00	7.00	0.00	490.00
11	პოლიკის სანათების დიმენტაჟი-კაბელის გადაგრა/გასუფთავება/დაზიანებული კაბელის გამოცვლა-კონექტორების დახვრეტა-კაბელის გადაერთება-კერმეტიზაციის სითხით დამუშავება-თერმოკუმშვადი მილის ჩამოცმა-რეზინის კრაკელადების გამოგრა-ბუნების ჩამოცმა-შენიღბ გაფრთა-სანათის მონტაჟი	ცალი	173	0.00	42.00	0.00	7,266.00
12	მდვიმის სანათებისთვის პროგრამის დამუშავება/პროგრამის ნატვირთვა ეთერ მართვის კუოტში-გაშვება-რეგულაცია	კომპლ	1	0.00	2,500.00	0.00	2,500.00
13	აკუსტიკური სისტემის ინტეგრირებული ტრანსფორმატორით ინსტალაცია-შეფუთვა-შენიღბვა	ცალი	122	0.00	35.00	0.00	4,270.00
14	გამაძლიერებლის ინსტალაცია-შეერთება	ცალი	9	0.00	50.00	0.00	450.00
15	რეკ-კარადის აწყობა- ინსტალაცია	ცალი	1	0.00	100.00	0.00	100.00
16	ხმის გამფენების მოწყობილების ინსტალაცია-შეერთება	ცალი	1	0.00	100.00	0.00	100.00
17	მიკროფონის ინსტალაცია-შეერთება	ცალი	2	0.00	100.00	0.00	200.00
18	გეფერილი მილის მონტაჟი-შეფუთვა-შენიღბვა	მ.	6850	0.00	1.20	0.00	8,220.00
19	ლინამიკის სადენის მონტაჟი	მ.	6850	0.00	1.60	0.00	10,960.00
20	პროექტორისთვის კვების წერტილის მოწყობა- მონტაჟი	ცალი	1	0.00	300.00	0.00	300.00
21	პროექტორის აწყობა აქსესუარებით-გამართვა-რეგულირება	ცალი	1	0.00	500.00	0.00	500.00
22	განათების-აკუსტიკის სისტემის გამართვა-რეგულირება	კომპლ	1	0.00	700.00	0.00	700.00
23	ბრუნტის სანათის ციკლოფოლის აწყობა- მონტაჟი/კერმეტიზაცია სითხით/შეფუთვა-შენიღბვა	ცალი	3	0.00	50.00	0.00	150.00
	მასალების ჩამონათვალი						
1	აკუსტიკის სისტემა ბარე მონტაჟის ინტეგრირებული ტრანსფორმატორით	ცალი	122	471.91	0.00	57,573.02	0.00
2	გამაძლიერებელი	ცალი	9	1,420.00	0.00	12,780.00	0.00
3	რეკ დგმ კლეტრი	ცალი	1	740.50	0.00	740.50	0.00
4	სადენი სპილენძის 5X4	მეტრი	150	5.85	0.00	877.50	0.00
5	სადენი სპილენძის 3X2.5	მეტრი	200	2.00	0.00	400.00	0.00
6	სადენი სპილენძის 2X1.5	მეტრი	150	1.30	0.00	195.00	0.00
7	ზეკები	ცალი	650	0.34	0.00	221.00	0.00
8	ლინამიკის სადენი	მეტრი	5500	2.30	0.00	12,650.00	0.00
9	სატ.კაბელი 2X4X0.3	მეტრი	1350	0.30	0.00	405.00	0.00
10	გამანაწილებელი კოლოფი 50X40 IP 68 (მართვის კუოტებისთვის)	ცალი	2	76.07	0.00	152.14	0.00
11	გამანაწილებელი კოლოფი 8X8, 10X10 IP 65	ცალი	445	5.90	0.00	2,625.50	0.00
12	კერმეტიზაციის სითხე Cast Resin	ლიტრი	58	98.70	0.00	5,724.60	0.00
13	ავტ.ამოძრთველი 3ა 25ა	ცალი	1	25.80	0.00	25.80	0.00
14	ავტ.ამოძრთველი 3ა 40ა	ცალი	1	25.80	0.00	25.80	0.00
15	იმპულსური რელე 4ა 40ა	ცალი	2	91.00	0.00	182.00	0.00
16	კონტაქტორი 40ა	ცალი	2	82.50	0.00	165.00	0.00
17	დიფ.გაჟონვის რელე 1ა 16ა	ცალი	2	73.50	0.00	147.00	0.00
18	ნაძრთველი	ცალი	1	8.9	0.00	8.89	0.00
19	როზეტი	ცალი	2	7.00	0.00	14.00	0.00
20	სანათის საფარი	ცალი	145	42.00	0.00	6,090.00	0.00
21	სანათების თერმოგამძლე ფერადი ფილტრები	ცალი	70	6.00	0.00	420.00	0.00
22	თერმოკუმშვადი მილი კემბრიკ	ცალი	173	2.80	0.00	484.40	0.00
23	შუოტი-ფორმატის პროექტორი (პროგრამული უსრუნველყოფით, ნათურით, ლაპილების ნარჩენებით და 2 ლინზით) IP 44	კომპლ	1	22,951.40	0.00	22,951.40	0.00
24	ბრუნტის სანათი ციკოვოლ სამაბრი აქსესუარებს და ნათურასთან ერთად	კომპლ	3	633.00	0.00	1,899.00	0.00
25	დამხმარე სახარჯი სამაბრი მასალა (დუბელ-ფურცი, კაბელის ქეტები /ხაფანგები/შემკვრელები, ანკერები, თვითმჭრელები, ბუნიკი, საიზოლაციო, წებო/სილიკონი)	კომპლ	1	1,870.00	0.00	1,870.00	0.00
					ჯამი:	128,627.55	74,185.00
	მასალები და მოწყობილობები:					128,627.55	
	სამონტაჟო სამუშაოები:					74,185.00	
	ზედნადები ხარჯები ხელფასსზე (75%)			%	75	55,638.75	
	ჯამი:					258,451.30	
	გეგმიური დაგროვება მასალებზე ძვირადღირებული მასალების გამოკლებით(3.5%)			%	3.5	4,054.66	
	ჯამი:					262,505.96	
	დ.ღ.გ. (18%)			%	0.18	47,251.07	
	საერთო ღირებულება (ლარი):					309,757.04	

მაქსიმრტები:

უ.ხაბიური

გ.ბერიშვილი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №14

ქ. თბილისი

27 თებერვალი 2012 წ.

1. ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. „ეტაპი“ ნიშნავს სამუშაოთა გარკვეულ ნაწილს, რომელიც გათვალისწინებულია სამუშაოთა შესრულების გეგმა-გრაფიკით.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ხელშეკრულების მხარეები არიან ერთის მხრივ **ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის **გიორგი შონვაძის** სახით

მდებარე: ქ. თბილისი, გულუას ქ. 6
(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს **შ.პ.ს „გესკო“** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი დადიანის** სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მდებარე: ქ. თბილისი, ლარსის ქ. №2
(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

3. შესყიდვის ობიექტის დასახელება და ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში, კერძოდ პრომეთეს მღვიმეში საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით (დანართი №1 – პროექტი) დეკორატიული განათებისა და აკუსტიკური სისტემის სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა (**51100000 - ელექტრო და მექანიკური მოწყობილობების მონტაჟი**) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

3.2. **შესყიდვის განხორციელების საშუალება შერჩეულია საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის №144 განკარგულების საფუძველზე.**

3.3. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს **337 000 (სამას ოცდა ჩვიდმეტი ათასი)** ლარს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და მოსაკრებლების ჩათვლით.

3.4. სამუშაოების ჩამონათვალი, ერთეულის და საერთო ღირებულება გაწერილია შესასრულებელი სამუშაოების დეტალურ ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (დანართი №2 – შესასრულებელი სამუშაოების დეტალურ ხარჯთაღრიცხვა).

3.5. შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერილობა
„პრომეთეს მღვიმე"-ში სამონტაჟო სამუშაოები შედგება შემდეგი ობიექტებისაგან:

- დეკორატიული განათების მონტაჟი;
- აკუსტიკური სისტემის მინტაჟი;

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) განხორციელდება როგორც საპროექტო, ასევე ტექნიკური ზედამხედველობის ფორმით. ტექნიკურ ზედამხედველობას „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, ხოლო საპროექტო ზედამხედველობას განახორციელებს „შემსყიდველის" მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ჯგუფი.

4.2. „შემსყიდველს" ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია დაემორჩილოს ინსპექტირების ჯგუფის ყველა კანონიერ მოთხოვნას, ხელი შეუწყოს თავისი საქმიანობის განხორციელებისას და შეუქმნას ჯგუფს ყველა პირობა ნორმალური მუშაობისათვის.

4.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

4.5. „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით, „შემსყიდველის" მიერ (ან მხარეთა შეთანხმების აქტით) დადგენილ გონივრულ ვადაში უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.6. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობისა და ღირებულების დადგენა მოხდება შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალის (ფორმა №2) და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის (სპეციალისტის ცნობის) საფუძველზე.

5. სამუშაოთა შესრულების პირობები

5.1. სამუშაოს შესრულება ხორციელდება „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი, მხარეთა შეთანხმებით დამტკიცებული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად (დანართი №3 – სამუშაოების შესრულების გრაფიკი).

5.2. სამუშაოს შესრულების გრაფიკში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ურთიერთშეთანხმებით, წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მოტივირებული წერილობითი ინიციატივის საფუძველზე.

5.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია ფარული სამუშაოები აწარმოოს ტექნიკური ინსპექტირების ჯგუფის წევრის (წევრების) უშუალო ზედამხედველობის ქვეშ და წინასწარ აცნობოს „შემსყიდველს" აღნიშნული სამუშაოების შესრულების თარიღის შესახებ.

5.4. „შემსყიდველი“ „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვას (ჩამონათვალი, მოცულობა, ღირებულება) საკუთარი სახსრებით ჩაუტარებს ექსპერტიზას შესრულებულ სამუშაოთა მოცულობისა და ღირებულების დადგენის მიზნით. ექსპერტის დასკვნის (სპეციალისტის ცნობის) საფუძველზე განხორციელდება შესაბამის სამუშაოთა მიღება-ჩაბარება.

5.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ და შემსყიდველის მიერ შეთანხმებულ შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალში (ფორმა №2) მითითებული შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა და ღირებულება განსხვავდება ექსპერტიზის დასკვნაში დაფიქსირებულ სამუშაოთა მოცულობასა და ღირებულებისაგან, ანგარიშსწორება განხორციელდება უმცირესი ფასის თანახმად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

5.6. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ სამუშაოთა წარმოების შეჩერება გარკვეული დროით (აღნიშნული დროის სავარაუდო ან ზუსტი მითითებით), რისი მიზეზიც შეიძლება იყოს წინამდებარე ხელშეკრულების ფინანსური უზრუნველყოფის საორგანიზაციო საკითხები. ასეთ შემთხვევაში განაცდური დრო არ ჩაითვლება ვადაგადაცილებაში.

5.7. „მიმწოდებელი“ ვალდებულია მოიპოვოს „შემსყიდველის“ თანხმობა ნებისმიერ გადახვევაზე მასთან შეთანხმებული გეგმებიდან, ნახაზებიდან და მასალებიდან, რომელთა ნიმუშები უკვე წარედგინა „შემსყიდველს“. ამასთან, „მიმწოდებელი“ არ არის უფლებამოსილი დამატებით საზღაურსა და გრაფიკის გაგრძელებაზე, თუ არ განხორციელდა შესაბამისი დამატება ან არ იქნა მიღებული დამკვეთის წერილობითი თანხმობა (განკარგულება ან შესაბამისი წესით გაფორმებული შეთანხმების აქტი) აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე.

5.8. „მიმწოდებელი“ ვალდებულია, „შემსყიდველის“ მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას სამუშაოების შესასრულებლად გამოსაყენებელი მასალის ნიმუში, აღნიშნული მასალის გამოსაყენებლად თანხმობის მიღების მიზნით, ხოლო „შემსყიდველის“ მოთხოვნის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით ჩაუტაროს მას შესაბამისი კვლევა ხარისხის დადგენის მიზნით.

5.9. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო პროცესში ჩართული საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებით არანაკლებ 70%-ის ოდენობით.

6. სამუშაოს შესრულების ადგილის მომზადება და გარემოს დაცვა

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია მოამზადოს სამუშაოების შესასრულებლად გამოყოფილი ადგილი შესაბამისი წესით და უზრუნველყოს გარემოს დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები „მიმწოდებლის“ მიერ ამისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე და სამუშაოთა დასრულების შემდეგ უზრუნველყოს გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენა;

ბ) მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა;

გ) სამუშაოების დასრულების შემდეგ, საბოლოო ცდების პროცედურების დასრულებამდე, საკუთარი ძალებით და სახსრებით გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი (მიმწოდებლის ტერიტორია) სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, სამშენებლო ნარჩენებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა. შ.

7. სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

7.1. სახელშეკრულებო ობიექტზე „მიმწოდებელმა“ უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, მექანიზმების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცესებს და სხვა.

7.2. „მიმწოდებელი“ და „შემსყიდველი“ ჟურნალში აღნიშნავენ თავის შენიშვნებს, დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ.

7.3. ჟურნალში ჩაიწერება დეფექტების შესწორების, დავალებების და გაფრთხილებების ვადები და ინფორმაცია მათი აღმოფხვრის შესახებ.

8. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

8.1. სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: **წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ყუმისთავი.**

8.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2012 წლის 16 მაისამდე,** წარმოდგენილი (ხელშეკრულებაზე თანდართული) გეგმა-გრაფიკის შესაბამისად (დანართი №3).

8.3. იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებლი“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს შეასრულებს დადგენილ ვადაზე ადრე „შემსყიდველი“ ვალდებულია მიიღოს აღნიშნული სამუშაო.

9. შესყიდვის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესრულებული სამუშაოს შესახებ შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

9.2. სამუშაოთა ეტაპობრივი და საბოლოო დასრულება დასტურდება მიმწოდებლის წერილით.

9.3. ინფორმაცია სამუშაოების დასრულების შესახებ დადასტურებული (დამოწმებული) უნდა იქნეს ინსპექტირების ჯგუფის წევრის მიერ.

9.4. მიმწოდებელს ხარვეზების ან ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის შემსყიდველის მიერ განესაზღვრება გონივრული ვადა, რომლის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია გამოიყენოს „მიმწოდებლის“ მიმართ ხელშეკრულების 14.3. პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

9.5. შესრულებულ სამუშაოთა საბოლოო მიღებამდე, „მიმწოდებლის“ მიერ განხორციელებული შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის მანძილზე მხარეები გააფორმებენ აქტს შენობის ტესტირებისთვის გადაცემის შესახებ (ტესტირებისთვის გადაცემის აქტი), რომელშიც „შემსყიდველმა“ შეიძლება მოითხოვოს შესაძლო ნაკლოვანებების კომპენსირება ან მათი აღმოფხვრის მიზნით გარკვეული სამუშაოების შესრულება. ამასთან, სამუშაოები ტესტირებისთვის გადაეცემა დამკვეთს.

9.6. ტესტირებისთვის გადაცემის აქტის ხელმოწერიდან 45 დღის განმავლობაში მხარეები იწყებენ საბოლოო ცდებს (შემდგომში „საბოლოო ცდების პროცედურა“), რომელიც არ უნდა გრძელდებოდეს 15 სამუშაო დღეზე მეტ ხანს.

9.7. საბოლოო ტესტის შესაძლო შედეგი შეიძლება იყოს:

ა) „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისთვის“ საბოლოო დეფექტების აღმოფხვრის მოთხოვნა ან დარჩენილი სამუშაოების გონივრულ ვადაში დასრულება, რაც მხარეებს შორის უნდა გაფორმდეს წერილობით, შესაბამისი შეთანხმების აქტით

ბ) მხარეების მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერა, იმის გათვალისწინებით, რომ „მიმწოდებელმა“ დაასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები ან/და გამოასწორა აღმოჩენილი დეფექტები. წინამდებარე ხელშეკრულებით „მიმწოდებლის“ მიერ ფარული ნაკლით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასთან დაკავშირებული ნორმების გამორიცხვის გარეშე, ნებისმიერი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები აცხადებენ და აღიარებენ, რომ აღნიშნული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს „შემსყიდველის“ დასტურს, რომ „მიმწოდებელმა“ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები წინამდებარე ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

9.10. შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერით დაადასტურებს ობიექტის მიმღები კომისია.

10. გარანტია

10.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე წარმოადგინოს შესრულებელი სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

10.2. შესრულებელი სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს ობიექტის კომისიური წესით მიღების დღიდან ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ დეფექტი აღმოჩნდება საგარანტიო ვადის განმავლობაში, „შემსყიდველი“ შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, წერილობით ატყობინებს ამის შესახებ „მიმწოდებელს“.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილი დეფექტის აღმოფხვრის შეტყობინების მიუხედავად, „მიმწოდებელმა“ არ უზრუნველყო დეფექტის გამოსწორება, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია აღმოფხვრას დეფექტი მესამე პირების საშუალებით „მიმწოდებლის“ ხარჯით.

11. ანგარიშსწორება

11.1. ანგარიშსწორება განხორციელდება 2 ეტაპად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

11.2. „შემსყიდველი“ „მიმწოდებელს“ მიმდინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხიდან შესაბამისი საბანკო გარანტიის საფუძველზე გადაურიცხავს ავანსს 303 300 (სამას სამი ათას სამასი) ლარის ოდენობით, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, შესრულებულ სამუშაოზე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პროცედურების დაცვით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით მათი წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში „შემსყიდველი“ განახორციელებს საბოლოო ანგარიშსწორებას.

11.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის სავალდებულოა შემდეგი დოკუმენტები: საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია (სასქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა და სხვა.), შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი; შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა და საინჟინრო და სამშენებლო-ტექნიკური საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა. მიღება-ჩაბარების საფუძველია ასევე შესრულებელი სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საბანკო გარანტია.

11.4. წინასწარი ანგარიშსწორების განსახორციელებლად, მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა წარმოადგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია. წინასწარ გადასახდელი

თანხის გადარიცხვა განხორციელდება შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

11.5. „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას, საავანსო გადასახდელი თანხის საბანკო გარანტია წარუდგინოს „შემსყიდველს“ 2012 წლის 16 ივნისამდე მოქმედების ვადით. თუ აღნიშნული ვადის დასრულებისას მიმწოდებელი ვერ წარმოადგენს აღნიშნული საავანსო თანხის შესაბამის შესრულებულ სამუშაოთა აქტს, „მიმწოდებელი“ ვალდებულია 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში წარადგინოს საბანკო გარანტია დარჩენილი საავანსო თანხის ოდენობაზე.

11.6. საბოლოო ანგარიშსწორება (ხელშეკრულების ღირებულების სრულად დაფარვა) განხორციელდება შესრულებულ სამუშაოზე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პროცედურების დაცვით გაფორმებული საბოლოო მიღებ-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში

12. ფასები

12.1. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის:

12.1.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლის საფუძველზე;

12.1.2. სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში.

12.1.3. საგადასახადო რეჟიმის შეცვლა, რაც უშუალო ზეგავლენას მოახდენს ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

12.1.4. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ (ინიციატორმა) უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით 20 დღით ადრე. თუ მხარეები არ შეატყობინებენ ერთმანეთს ფასების ცვლილების შესახებ, ფასი რჩება უცვლელი, მიუხედავად ამ ხელშეკრულების 12.1. პუნქტით და მისი ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობების დადგომისა.

13. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

13.1. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 60 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

13.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ დაუბრუნდება მიმწოდებელს და მოთხოვნა გარანტიით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე გაეგზავნება გარანტიის გამცემ ბანკს იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ადგილი ექნება ხელშეკრულების რომელიმე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების უხეშ დარღვევას.[1]

13.3. გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.

13.4. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტის გამოვლენა და ამის შესახებ გარანტიის გამცემი ორგანოს ინფორმირება წარმოადგენს საფუძველს გარანტიის გამცემი ბანკის მიერ საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის შემსრულებლის ანგარიშზე გადარიცხვისათვის.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

[1] აქ და ყველგან უხეშ დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელიც არ არის ტექნიკური ხასიათის და წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების (მოთხოვნების) უგულებელყოფას.

14.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.

14.2. წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი" ვალდებულია სამი კვირის ვადაში გაასწოროს არსებული ჩამორჩენა გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვადებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, „მიმწოდებელი" დარღვეულ პერიოდზე (სამი კვირა) სრულად გადაიხდის პირგასამტეხლოს ყოველ გაცდენილ დღეზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა თუ ჩამორჩენა ან მისი გამოსწორების ვადის უშედეგოდ გასვლა არ არის გამოწვეული „შემსყიდველის" მიზეზით.

14.3. „მიმწოდებლის" მიერ ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილ გონივრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილ თითოეულ დღეზე 50 ლარის ოდენობით.

14.4. მხარეების მიერ ხარვეზების არსებობის შესახებ შეუთანხმებლობის შემთხვევაში „დამკვეთი" და „მიმწოდებელი" იტოვებს უფლებას მოიწვიონ დამოუკიდებელი ექსპერტი და განახორციელონ ხარვეზის შეფასება.

14.5. ექსპერტის დასკვნის საფუძველზე და ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ „მიმწოდებლის" მიერ უარის თქმის შემთხვევაში „დამკვეთი" იტოვებს უფლებას ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით მოიწვიოს მესამე მხარე და ხარვეზის აღმოფხვრისათვის საჭირო თანხის ოდენობა დაუქვითოს „მიმწოდებელს" საბოლოო შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან.

14.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.7. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14.8. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

15.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

15.3. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

15.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

15.5. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

15.6. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

15.7. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2 თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

17.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია სამუშაოების შესრულების პერიოდში საჭირო კომუნალური მომსახურების (წყალი, ელ. ნერგია და სხვა) საფასური დაფაროს საკუთარი ხარჯებით.

17.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია სამუშაოების დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოების საშემსრულებლო ნახაზი.

18. სხვა პირობები

18.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

18.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

18.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

18.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

18.5 კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

18.6. ხელშეკრულებას დანართის სახით ახლავს და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შემდეგი დოკუმენტები:

1. „პრომეთეს მღვიმე"-ში დეკორატიული განტებისა და აკუსტიკური სისტემის მოწყობის პროექტი
2. შესასრულებელი სამუშაოების დეტალურ ხარჯთაღრიცხვა
3. სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკი
4. სამუშაოების სპეციფიკაციის განმარტებითი ბარათი
5. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის №144 განკარგულების ასლი
6. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ
7. საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს მიერ გაცემული ცნობა, ინფორმაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ „მიმწოდებლის" მიმართ რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია არ მიმდინარეობს.
8. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

18.7. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება „შემსყიდველთან“ და „მიმწოდებელთან“.

18.8. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

18.9. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2012 წლის 1 აგვისტომდე.

19. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო”
ქ. თბილისი, გულუას ქ. №6
ტელ: 995 32 2752352
ს/კ: 204911337
სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი: 220101222
ა/ა 200122900

გიორგი შონვაძე
თავმჯდომარე

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს „გესკო“
ქ. თბილისი, ლარსის ქ. №2
ტელ: 591159993
ს/კ: 204558674
ს.ს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: 220101502
ა/ა 230219100

გიორგი დადიანი
დირექტორი

პრომეთეის მღვიმეში განათების - აკუსტიკის სისტემების მოწყობის ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოებისა და ხარჯების დასახელება	განზომ. ერთეული	რაოდ.	ერთეულის ფასი		ღირებულება	
				მასალა	ხელფასი	მასალა	ხელფასი
1	ლედური სანათის მონტაჟი/ადრესაცია/ჰერმეტიზაცია სითხით	ცალი	465	0.00	25.00	0.00	11,625.00
2	მართვის პულტების მონტაჟი/ აწყობა/ჰერმეტულ ყუთებში ინსტალაცია, ჰერმეტიზაცია სითხით	ცალი	38	0.00	50.00	0.00	1,900.00
3	წყლისქვეშა სანათებისთვის პროგრამატორის მონტაჟი/დაპროგრამირება/პროგრამის შემუშავება/პროგრამის დაწერა/ ჩატვირთვა/გაშვება	ცალი	1	0.00	2,200.00	0.00	2,200.00
4	DMX სადენის დაჯეკვა	ცალი	650	0.00	3.00	0.00	1,950.00
5	DMX სადენის მონტაჟი-შეფუთვა-შენიღბვა	მეტრი	6320	0.00	2.00	0.00	12,640.00
6	მკვებავი სადენის მონტაჟი-შეფუთვა-შენიღბვა	მეტრი	2500	0.00	1.60	0.00	4,000.00
7	გამანაწილებელი კოლოფების მონტაჟი/IP-ის გაზრდა 68-მდე ჰერმეტიზაციის სითხის ჩასხმით/შეფუთვა-შენიღბვა	ცალი	497	0.00	9.00	0.00	4,473.00
8	ავტ.ამომრთველის/დიფ.რელეს მონტაჟი/კონტაქტორის/ჩამრთველისმონტაჟი	ცალი	9	0.00	25.00	0.00	225.00
9	სანათებზე "შტორკები"-ს ჩამოცვა/დამაგრება	ცალი	146	0.00	10.00	0.00	1,460.00
10	მღვიმის ძველ არსებულ სანათებისთვის თერმოგამძლე ფილტრების გამოჭრა, დამაგრება ჰერმეტულად წყალგამძლე წებო-სილიკონის მეშვეობით	ცალი	70	0.00	7.00	0.00	490.00
11	ბილიკის სანათების დემონტაჟი-კაბელის გადაჭრა/გასუფთავება/დაზიანებული კაბელის გამოცვლა-კრონშტეინის დახვრეტა-კაბელის გადაერთება-ჰერმეტიზაციის სითხით დამუშავება-თერმოკუმშვადი მილის ჩამოცვა-რეზინის პრაკლადკების გამოჭრა-ბუნიკის ჩამოცმა-ფენით გაშრობა-სანათის მონტაჟი	ცალი	173	0.00	42.00	0.00	7,266.00
12	მღვიმის სანათებისთვის პროგრამის დამუშავება/პროგრამის ჩატვირთვა თითო მართვის პულტში-გაშვება-რეგულაცია	კომპლ	1	0.00	2,500.00	0.00	2,500.00
13	აკუსტიკური სისტემის ინტეგრირებული ტრანსფორმატორით ინსტალაცია-შეფუთვა-შენიღბვა	ცალი	122	0.00	35.00	0.00	4,270.00
14	გამაძლიერებლის ინსტალაცია-შეერთება	ცალი	9	0.00	50.00	0.00	450.00
15	რეკ-კარადას აწყობა- ინსტალაცია	ცალი	1	0.00	100.00	0.00	100.00
16	ხმის გამშვების მოწყობილობის ინსტალაცია-შეერთება	ცალი	1	0.00	100.00	0.00	100.00
17	მიკშერის ინსტალაცია-შეერთება	ცალი	2	0.00	100.00	0.00	200.00
18	გოფრირებული მილის მონტაჟი-შეფუთვა-შენიღბვა	მ.	6320	0.00	1.20	0.00	7,584.00
19	დინამიკის სადენის მონტაჟი	მ.	6450	0.00	1.60	0.00	10,320.00
20	პროექტორისთვის კვების წერტილის მოწყობა- მონტაჟი	ცალი	1	0.00	300.00	0.00	300.00
21	პროექტორის აწყობა აძსესუარებით-გამართვა-რეგულირება	ცალი	1	0.00	500.00	0.00	500.00
22	განათების-აკუსტიკის სისტემის გამართვა-რეგულირება	კომპლ	1	0.00	700.00	0.00	700.00
23	ბრუნტის სანათის ციკლოვოლის აწყობა- მონტაჟი/ჰერმეტიზაცია სითხით/შეფუთვა-შენიღბვა	ცალი	3	0.00	50.00	0.00	150.00

	მასალების ჩამონათვალი						
1	აკუსტიკის სისტემა გარე მონტაჟის ინტეგრირებული ტრანსფორმატორით	ცალი	122	471.91	0.00	57,573.02	0.00
2	გამაძლიერებელი	ცალი	9	1,420.00	0.00	12,780.00	0.00
3	რეკ დვდ პლეერი	ცალი	1	740.50	0.00	740.50	0.00
4	სადენი სპილენძის 5X4	მეტრი	150	5.85	0.00	877.50	0.00
5	სადენი სპილენძის 3X2.5	მეტრი	200	2.00	0.00	400.00	0.00
6	სადენი სპილენძის 2X1.5	მეტრი	150	1.30	0.00	195.00	0.00
7	ჯეკები	ცალი	800	0.34	0.00	272.00	0.00
8	დინამიკის სადენი	მეტრი	5500	2.30	0.00	12,650.00	0.00
9	სატ.კაბელი 2X4X0.3	მეტრი	1350	0.30	0.00	405.00	0.00
10	გამანაწილებელი კოლოფი 50X40 IP 68 (მართვის პულტებისთვის)	ცალი	2	76.07	0.00	152.14	0.00
11	გამანაწილებელი კოლოფი 8X8, 10X10 IP 65	ცალი	497	5.90	0.00	2,932.30	0.00
12	ჰერმეტიზაციის სითხე Cast Resin	ლიტრი	58	98.70	0.00	5,724.60	0.00
13	ავტ.ამომრთველი 3პ 25ა	ცალი	1	25.80	0.00	25.80	0.00
14	ავტ.ამომრთველი 3პ 40ა	ცალი	1	34.11	0.00	34.11	0.00
15	იმპულსური რელე 4პ 40ა	ცალი	2	91.00	0.00	182.00	0.00
16	კონტაქტორი 40ა	ცალი	2	82.50	0.00	165.00	0.00
17	დიფ.ბაქონვის რელე 1ფ 16ა	ცალი	2	73.50	0.00	147.00	0.00
18	ჩამრთველი	ცალი	1	8.9	0.00	8.89	0.00
19	როზეტი	ცალი	2	7.00	0.00	14.00	0.00
20	სანათის საფარი	ცალი	145	42.00	0.00	6,090.00	0.00
21	სანათების თერმოგამძლე ფერადი ფილტრები	ცალი	70	6.00	0.00	420.00	0.00
22	თერმოკუმშვადი მილი კემბრიკ	ცალი	173	2.80	0.00	484.40	0.00
23	მულტი-ფორმატის პროექტორი (პროგრამული უზრუნველყოფით, ნათურით, სლაიდების ჩარჩოებით და 2 ლინზით) IP 44	კომპლ	1	22,951.40	0.00	22,951.40	0.00
24	ბრუნტის სანათი ციკოვოლ სამაბრი აძსესუართან და ნათურასთან ერთად	კომპლ	3	633.00	0.00	1,899.00	0.00
25	დამხმარე სახარჯი სამაბრი მასალა (დუბელ-შურუპი, კაბელის უგუტები /ხამუტები/შემკვრელები, ანკერები, თვითმფრელები, ბუნიკი, საიზოლაციო, ფეგო/სილიკონი)	კომპლ	1	1,870.00	0.00	1,870.00	0.00
				ჯამი:		128,993.66	75,403.00
	მასალები და მოწყობილობები:					128,993.66	
	სამონტაჟო სამუშაოები:					75,403.00	
	ზედნადები ხარჯები (35%)			%	0.35	71,538.83	
	ჯამი:					275,935.48	
	გეგმიური დაბრუნება (3.5%)			%	0.035	9,657.74	
	ჯამი:					285,593.23	
	დ.დ.გ. (18%)			%	0.18	51,406.78	
	საერთო ღირებულება (ლარი):					337,000.01	